საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაგვეთი

თაგვეთი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის თემში (შიდა ქართლის მხარე), - მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 760 მ, ხაშურიდან 3 კმ. 103 მცხ. (2002).

სოფლის აღმ-ით, დაახლ. 300–400 მ-ზე, მდებარეობს ღვთისმშობლის ერთნავიანი ახ. ეკლესია. იგი დგას ძვ. ნაეკლესიარზე, რ-ისგანაც შემორჩენილია მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდის სამხრ. მხარე. ეკლესიის მახლობლად აღმოჩნდა ქვიშაქვის მოჩუქურთმებული ფილა – ძვ. ეკლესიის კანკელის ნაწილი, რ-იც სტილური ნიშნებით IX–X სს-ით თარიღდება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 5, თბ., 1990